განმარტებითი ბარათი
ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ

ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის **შემოსულობები** განისაზღვრა **11 237,0** ათ. ლარი, აქედან: ა) გადასახადების მაჩვენებელი - ქონების გადასახადი განისაზღვრა **1 150,0** ათ. ლარი, მათ შორის: საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი **1 135,0** ათ. ლარი, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი **5,0** ათ. ლარი და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე **10,0** ათ. ლარი;

ბ) დამატებითი ღირებულების გადასახადი განისაზღვრა **9 083,8** ათ. ლარი;

გ) გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი **320,6** ათ.ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან გამოყოფილი გრანტები 50,0 ათ.ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 270,6 ათ. ლარი;

დ) სხვა შემოსავლები განისაზღვრა **632,6** ათ. ლარი, მათ შორის: პროცენტები 250,0 ათ. ლარი; მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 180,0 ათ. ლარი; სანებართვო მოსაკრებელი 20,0 ათ. ლარი; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 15,0 ათ. ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავები 50,0 ათ. ლარი; ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე 117,6 ათ. ლარი;

ე) არაფინანსური აქტივების კლება **50,0** ათ. ლარი.

2025 წლის ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის **გადასახდელების** გეგმა განისაზღვრა **11 237,0** ათ. ლარი, საიდანაც:

ა) შრომის ანაზღაურების ფონდი განისაზღვრა **3 312,9** ათ. ლარი;

ბ) საქონელი და მომსახურება 2 751,9 ათ. ლარი: მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 238,7 ათ. ლარი; მივლინებები განისაზღვრა 27,0 ათ. ლარი; ოფისის ხარჯი განისაზღვრა 226,1 ათ. ლარით მუნიციპალიტეტის სამსახურებისათვის საკანცელარიო, საწერ-სახაზავი, ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა, ნორმატიული აქტების და საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების და ყველა სახის საგამომცემლო და სასტამბო ხარჯები, კომპიუტერული ტექნიკის, კატრიჯების შეძენა და დატუმბვა, საოფისე ავეჯი, სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარი, ოფისისთვის საჭირო საგნები და მასალები, სანიტარული საგნებისა და სჭირო მასალის შესაძენად, შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიის მომდინარე რემონტის ხარჯისათვის, საოფისე ტექნიკა, ინვენტარი, კავშირგაბმულობის, საფოსტო მომსახურების, ელექტროენერგიის, წყლის, ბუნებრივი და თხევადი აირის, გათბობისათვის ხარჯების ასანაზღაურებლად; წარმომადგენლობითი ხარჯი 21,0 ათ. ლარით; ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები 406,0 ათ. ლარი, მათ შორის: საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯი 120,5 ათ. ლარი; მიმდინარე რემონტის, ექსპლუატაციის მოვლა შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი 64,5 ათ. ლარი; ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი 221,0 ათ. ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება განისაზვრება 1 833,2 ათ. ლარით, მათ შორის: ექსპერტიზისა და შემოწმების ხარჯი 10,0 ათ. ლარი; კადრების მომზადება გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი 35,5 ათ. ლარი; სანოტარო, თარგმნის მომსახურების ხარჯი 1,0 ათ. ლარი; აუდიტორული მომსახურების ხარჯი 3,0 ათ. ლარი; საარქივო მომსახურების ხარჯი 3,0 ათ. ლარი; დაცვის ხარჯი 141,9 ათ. ლარი; ბინის ქირა 31,4 ათ. ლარი; ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა 7,0 ათ.ლარი; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო, საგამოფენო ხარჯები 196,0 ათ. ლარი; აზომვითი ნახაზებისათვის 8,0 ათ. ლარი; ტენდერების და აუქციონების მომსახურების ხარჯი 7,0 ათ. ლარი; მუნიციპალიტეტის ვებ. გვერდის მომსახურება 10,0 ათ. ლარი; საფინანსო

ანალიტიკური, საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მომსახურება 23,0 ათ. ლარი; საჯარო რეესტრში მომსახურებისათვის 0,2 ათ. ლარი; ასოცირებული საწევრო 5,7 ათ. ლარი; ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა 5,0 ათ. ლარი; დასუფთავების ღონისძიებაზე 730,0 ათ. ლარი და ბიო ტუალეტების მომსახურება 20,0 ათ. ლარი; „მდგრადი ენერგეტიკის დღე" 2,0 ათ. ლარი; მიუსაფარი ძაღლების გადაყვანა თავშესაფარში 10,0 ათ. ლარი; გარე განათების მომსახურება 80,0 ათ. ლარი; გარე განათების ელექტროენერგიის გადასახადი 198,5 ათ. ლარი; ადგილობრივი გზების მიმდინარე და პერიოდული შეკეთება, თოვლის წმენდა 275,0 ათ. ლარი; სანიაღვრე არხების წმენდა 30,0 ათ. ლარი.

გ) პროცენტი - შეძენილი ნაგავმზიდი მანქანებისა და კონტეინერების სესხის დასაფარი პროცენტი მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდში 6,4 ათ. ლარი.

დ) სუბსიდიები განისაზღვრა 2 775,9 ათ. ლარი, რითაც დაფინანსდება: ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი 200,0 ათ. ლარი; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური 150,0 ათ. ლარი; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღი 550,0 ათ. ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი 200,0 ათ. ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა „მამისონი" 173,0 ათ. ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საჭიდაო სკოლა 250,0 ათ. ლარი; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა 82,0 ათ. ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ზურა ბაკურაძის სახელობის სამუსიკო სკოლა 125,0 ათ. ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის ცენტრი 355,0 ათ. ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი 104,0 ათ. ლარით; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა 132,0 ათ. ლარი; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრი 83,0 ათ. ლარი; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი 105,2 ათ. ლარი; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება განისაზღვრა 204,9 ათ. ლარი და წითელი ჯვრის საზოგადოების დაფინანსება 61,7 ათ. ლარი.

ე) გრანტები ა(ა)იპ „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი „ამარანტები" 50,0 ათ. ლარი.

ვ) ბიუჯეტში გათვალისწინებულია სოციალური დახმარებები გადანაწილდა: ავადმყოფთა სოციალური დაცვა 130,0 ათ. ლარი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დახმარება 30,0 ათ. ლარი; მრავალშვილიანი ოჯახების, ბავშვის შეძენასთან, ობოლ ბავშვების ოჯახებზე, სოციალურად დაუცველი ოჯახების ბინის ქირით და გათბობით უზრუნველყოფა 100,0 ათ. ლარი; ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები 0,5 ათ. ლარი; 8 მარტის, 9 და 26 მაისის, 17 ოქტომბერსა და საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება 6,2 ათ. ლარი; სამამულო ომის ვეტერანებზე და საქართველოს მთლიანობისათვის დაღუპულთა, დაინვალიდებულთა ოჯახების ერთჯერადი სოციალური დახმარება 5,0 ათ. ლარი; ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოც.დაცვა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის დაფინანსება 8,3 ათ. ლარი; სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი 40,0 ათ, ლარი და ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის დაფინანსება 10,0 ათ. ლარი.

ზ) სხვა ხარჯებში განისაზღვრა სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის ხარჯი 10,0 ათ. ლარი; საკრებულოს დეპუტატების წევრების ხარჯი 100,3 ათ. ლარი; სოფ. მრავალძალში არსებული წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის დამხმარე შენობის რეაბილიტაცია 100,0 ათ. ლარი; სარეზერვო ფონდი 100,0 ათ. ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წილობრივი დაფინანსება 30,0 ათ. ლარი; წარმატებული სტუდენტებისათვის სტიპენდიის მინიჭება 8,6 ათ. ლარი და წარმატებული სპორტსმენების დახმარება 12,0 ათ. ლარი.

თ) არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 1 594,0 ათ. ლარით, მათ შორის: კომპიუტერების შესაძენად 20,0 ათ. ლარი; კომბო-პრინტერების შესაძენად 13,0 ათ.ლარი; აბონენტთა აყვანის ხარჯი 4,0 ათ. ლარი; ქონების რეგისტრაცია 0,5 ათ. ლარი; საპროექტო, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურებაზე 200,0 ათ. ლარი; საინჟინრო, საამშენებლო, ტექნიკურ საზედამხედველო მომსახურებაზე 350,0 ათ. ლარი; დაიგეგმა გზების წილობრივი მონაწილეობისათვის 196,3 ათ. ლარი, მათ შორის: პიპილეთი-ჟაშქვის გზის რეაბილიტაცია (ცემენტ-რკინა-ბეტონი), ლაგვანთა-საკაო-მაჟიეთი-ხიდეშლები გზის ასფალტო-ბეტონით მოწყობა, სოფელ ფარახეთში გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონი), სოფელ შეუბანში გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონი), სოფელ გომში გზის რეაბილიტაცია (ბეტონის საფარი), სოფელ უწერაში გზის რეაბილიტაცია (ბეტონის საფარი), სოფელ გლოლაში არსებული სასაფლაოებამდე მისასვლელი ბილიკების კეთილმოწყობა,ლარი; სოფელ ბარის გზის რეაბილიტაცია (კახეთელიძეების უბანი), სოფელ სომიწოს მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის), სოფელ ქვედის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის საფარი), სოფელ წედისი-სხანარის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის საფარი). სოფელ პატარა ღებში წყლის სისტემის რეაბილიტაცია წილობრივი თაფინანსება 21,0 ათ. ლარი და სოფელ გლოლაში წყლის სისტემის რეაბილიტაცაციის წილობრივი დაფინანსება 5,0 ათ. ლარი; ქ. ონის ქუჩებისა და საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეების -კეთილმოწყობა X ეტაპი 25,0 ათ.ლარი; შიდა სახელმწიფო მნიშვნელობის გზის უზუმთა - საჩხერე - შქმერი-ონის მონაკვეთზე გადმოსახედის მოსაწყობის სამუშაოები 25,0 ათ. ლარი; კურორტ შოვში მემორიალის მშენებლობა წილობრივი დაფინანსება 81,5 ათ.ლარი; სახელაშვილის დასახლების მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია - კეთილმოწყობა წილობრივი დაფინანსება 17,5 ათ.ლარი; ქ. ონში აგრალური ბაზრის კეთილმოწყობა წილობრივი დაფინანსება 25,0 ათ.ლარი; ქ.ონში გიგა ჯაფარიძის ბულვარში ატრაქციონის შეძენა-მონტაჟი 80,0 ათ. ლარი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თანადაფინანსებისათვის 100,0 ათ. ლარი; სოფელ უწერაში საკანალიზაციო სისტემის დასრულების სამუშაო წილობრივი დაფინანსება 6,0 ათ. ლარი; სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა 50,0 ათ. ლარი; გარე განათების აბონენტად აყვანის ხარჯი 6,4 ათ. ლარი; საზოგადოებრივ სივრცეებში არსებული გარე განათების დეკორატიული სანათების ბოძების დამიწების მოწყობის წილობრივი 10,1 ათ. ლარი; ქალაქ ონში გარე განათების რეაბილიტაცია (ლამპიონების შეცვლა) წილობრივი დაფინანსება 4,0 ათ. ლარი; შენობების აბონენტად აყვანის ხარჯი - 17,4 ათ. ლარი; შეუბნის ადმინისტრაციულ შენობაში მულტიფუნქციური სივრცის მოწყობა 58,0 ათ.ლარი; ამწეკალათის შეძენა 70,0 ათ.ლარი; ორი ცალი მსუბუქი ბულდოზერი მუხლუხას (ნიუჰოლანდი) შეძენა 180,0 ათ. ლარი; სოფელ ნაკიეთში და ჭიორაში მინი სტადიონის მოწყობა წილობრივი დაფინანსება 16,0 ათ ლარი; ქ.ონში სკოლის შენობაში არსებული სტომატოლოგიური კაბინეტის დამატებითი სამუშაოები 8,4 ათ.ლარი; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო, საგამოფენო ხარჯები 4,0 ათ. ლარი;

ი) ვალდებულების კლება - სესხი - შეძენილი ნაგავმზიდი მანქანებისა და კონტეინერების სესხის დასაფარი ძირი თანხა მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდში 55,6 ათ. ლარი;

ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის 2024 წელს შემოსულობების მთლიანი გეგმა შეადგენს 25 087,5 ათ. ლარს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეულმა გადასახდელების 2024 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთით გეგმა შეადგენს 29 415,8 ათ. ლარს. აქედან საკუთარი შემოსავლებია 11 621,0 ათ. ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი 17 794,9 ათ. ლარია, რითაც განხორციელდა–ხორციელდება: სოფ.შეუბნის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია; სოფ. ფარახეთში გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის საფარი) (II ეტაპი); სოფ. ლაჩთის გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის საფარი); ქ.ონში აგრალური ბაზრის მშენებლობა (II ეტაპი); სოფელ პატარა ღებში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაო; ქ.ონში

საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა (IX ეტაპი); ონის მუნიციპალიტეტის სოფლების: საკაო,ლაგვანთა, მაჟიეთსა და ხიდეშლებში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ასფალტო-ბეტონის საფარი IV); სოფელ უწერაში გზის რეაბილიტაცია (ბეტონის საფარი I ეტაპი); სოფელ გომში გზის რეაბილიტაცია (ბეტონის საფარი I ეტაპი); სოფელ უწერაში მინი სტადიონის მშენებლობა; სოფელ წმენდაურში გზის რეაბილიტაცია მყარი საფარის მოწყობით; სოფელ ღებში ჭალეების უბნის მინერალური წყლის მოწყობა; ქ.ონში ვახტანგ VI-ის ქუჩაზე მინი სტადიონის მშენებლობა; სოფელ პატარა ღებში გზის რეაბილიტაცია; სოფელ სევაში არსებული მინი სტადიონის დასრულების სამუშაოები; სოფელ უწერაში გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის (II ეტაპი) საფარით; სოფელ ჟაშქვის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით (III ეტაპი); სოფელ შეუბნის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით (II ეტაპი); ქ.ონში მოედნის ტერიტორიაზე არსებულ სასაფლაოებამდე მისასვლელი ბილიკების კეთილმოწყობა; სოფელ გლოლაში არსებულ სასაფლაოებამდე მისასვლელი ბილიკების კეთილმოწყობა; ქ.ონში დგვარელის ქუჩაზე ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა; სოფელ ფარახეთის გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით (მეოთხე ეტაპი); ქ.ონში ბეერშევას სახელობის სკვერის კეთილმოწყობა (I ეტაპი); სოფელ გლოლაში გორის ბოლოსთან არსებული მინერალური წყლის კეთილმოწყობა. ასევე ხორციელდება სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი სამუშაოები და საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები.

2024 წლის შემოსულობების წლიური გეგმიდან 25 087,5 ათ. ლარიდან 11 თვის მონაცემებით შემოსულია 20 434,1 ათ. ლარი (81%); გადასახდელების წლიური გეგმა შეადგენდა 29 415,8 ათ. ლარს ფაქტიურად გაიხარჯა 22 732,9 ათ.ლარი (77%).

პროექტი შეადგინა: თ. ბროლაშვილი

შემსრულებელი: ნ. მეტრეველი